# მეგრელები ღვთისმშობლის კვართის ზუგდიდიდან შესაძლო გადატანას აპროტესტებენ



ზუგდიდის მოსახლეობამ ღვთისმშობლის კვართის გადაბრძანება გააპროტესტა. ათასამდე ადამიანი სიწმინდის ხობში გადაბრძანების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას აპროტესტებდა. შეკრებილები მას შემდეგ დაიშალნენ რაც ცნობილი გახდა, რომ კვართის გადატანა არ იგეგმებოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქომ განცხადება

გაავრცელა სადაც აღნიშნულია, რომ ასეთ ვითარებაში ეკლესია მხარს ვერ დაუჭერს ღვთისმშობლის კვართის გადაბრძანებას. ხობისა და ცაიშის მიტროპოლიტის გერასიმეს განცხადებით, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მღელვარებით დაუშვებელია. მიტროპოლიტმა ზუგდიდელებს სიმშვიდისკენ მოუწოდა.